სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: არქეოლოგია/ Archaeology

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფ. ვახტანგ ლიჩელი
ასოცირებული პროფ. ზვიად კვიციანი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
დოქტორანტურის საერთაშორისოდ აპრობირებული სტანდარტების შესაბამისად სადოქტორო პროგრამა არქეოლოგიაში ითვალისწინებს დოქტორანტის ინტელექტუალურ ზრდას, აკადემიური და კვლევითი რესურსების ურთიერთდაახლოებას, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას და კვლევის ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვას და ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელისშეწყობას. აქედან გამომდინარე, არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც მაღალ თეორიულ დონეზე გააანალიზებს და ერთიან დისკურსში წარმოადგენს ადამიანის სამყაროსადმი ფუნდამენტურ მიმართებებს, უპასუხებს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს. პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული და საერთაშორისო კულტუტრული მემკვიდრეობის კვლევას. უკანასკნელ წლებში ნათლად გამოიკვეთა არქეოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულება – წარმოაჩინოს არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ ბუნების გარკვეული მოვლენების განვითარების ტენდენციებიც, რაც შეუდარებლად ზრდის მისი, როგორც მეცნიერების თანამედროვე დარგის განვითარებისა და გამოყენების აუცილებლობის ინდექსს. ეს ასპექტი ვლინდება არქეოლოგიის ინტერდისციპლინარულ ხასიათში, რაც გამოიხატება არქეოლოგიურ კვლევებში საბუნებისმეტყველო დარგების მიღწევათა ფართო დანერგვისა და საბუნებისმეტყველო დარგების კონკრეტულ ამოცანათა დასახვისა და გადაჭრის შესაძლებლობებში. ამავდროულად არქეოლოგიის პროგრამის ფარგლებში ყურადღება მიექცევა კულტურული, სოციალური და პოლიტიკური კვლევის ასპექტებს. ქვის და ბრინჯაოს ხანის, ასევე ისტორიული პერიოდის არქეოლოგიის კარდინალურ საკითხებს, აგრეთვე თანამედროვე კვლევების (მათ შორის, დათარიღების ახალი მეთოდების) საერთაშორისო ნორმების შესწავლას.

პროგრამის მიზანი: არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს მატერიალური კულტურის არსის, მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის, სოციალური ხასიათის დადგენას. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დოქტორანტი შეიძენს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის კვლევის ჩვევებს, მიღებული ცოდნის გარკვეულ ეტაპზე და კონკრეტული მიმართულებით აკუმულაციის უნარს. არქეოლოგიური საქმიანობის სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამეცნიერო კვლევის მენეჯმენტის შესწავლას. დოქტორატურაში სწავლის დროს მოხდება ძირითადი აქცენტის გადატანა

არქეოლოგიის იმ მიმართულების უმთავრესი საკითხებზე, რომელიც დოქტორანტის კონკრეტული ინტერესების სფეროს სრულიად შეესაბამება. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე დოქტორანტურაში განსაკუთრებული სისრულით იქნება შესწავლილი საკვლევ თემასთან დაკავშირებული ინტერდისციპლინარული შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო ანალიზის განსაკუთრებული შედეგების მიღებას.

სწავლის შედეგი:

1. ცოდნა და გაცნობიერება

თანამედროვე არქეოლოგიის ძირითადი მეთოდების და მეთოდოლოგიების ცოდნა.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

სამეცნიერო ნაშრომების წერის უნარი; სამეცნიერო მოხსენებების წარდგენის უნარი. აზრის სიზუსტის მიღწევის უნარი და მისი ადექვატური გამოყენების უნარი რთულ და წინააღმდეგობრივ დებატებისას. სალექციო კურსების მომზადებისა და წაკითხვის უნარი

3. ზოგადი/ტრანსფერული უნარები

სამეცნიერო ნაშრომისათვის საჭირო მასალის მოპოვების უნარი. უნარი გადალახოს საგნის ტრადიციული საზღვრები.

ემპირიული მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარი; მეცნიერული არგუმენტირების უნარი; დისკუსიებში მონაწილეობის უნარი. კულტურათა დიალოგში მონაწილეობის და დებატების უნარი. საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების უნარი საკუთარი თავის მოტივირების უნარი.

დასაქმების სფეროები: არქეოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტმა შეეძლება იმუშაოს სხვადასხვა სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში არქეოლოგიის სპეციალობის მიხედვით. ამასთან, მატერიალური კულტურის ღრმა ცოდნის მიღების შედეგად, მას შესაძლებლობა ექნება განახორციელოს საექსპერტო სამუშაო, ანუ შეაფასოს (ქრონოლოგიურად, კულტურულად, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, კულტურული მნიშვნელობის თვალსაზრისით) ის ნივთები, რომლებიც კონკრეტული ინტერესების საგანს შეიძლება შეადგენდეს. არასამთავრობო ორგანიზაციებში. საჯარო სამსახურებში; ანალიტიკურ ცენტრებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

მაგისტრის ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში.

ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა (B 2 დონე).

სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი)

სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსები: (35 კრედიტი)

- სწავლების თანამედროვე მეთოდები 5 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა 15 კრედიტი
- დოქტორანტის I კოლოკვიუმი 5 კრედიტი
- დოქტორანტის II კოლოკვიუმი 5 კრედიტი
- მეცნიერების მენეჯმენტი 5 კრედიტი

საუნივერსიტეტო არჩევითი საგნები	25 კრედიტი
უცხოურ და სხვა უმაღლეს დაწესებულებაში მოსმენილი კურსები	5-60 კრედიტი

კვლევითი კომპონენტი:
დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი აითვისებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კრედიტს და წარადგენს დასაცავად სადოქტორო დისერტაციას. სადისერტაციო ნაშრომი, რომელზეც დოქტორანტი მუშაობს სწავლების პერიოდში უნდა იყოს მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინ-გადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის შემდგომ კვლევაში.
სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს 150-250 გვერდს (არაუმეტეს 400000 ასო-ნიშნისა, MS Word -ში, შრიფტის ზომა -12).

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
სტუდენტები ისარგებლებენ ინტერნეტით, ბიბლიოთეკით. ისინი პროფესიული მომზადების პროცესში სადოქტორო პროგრამის პედაგოგებისაგან მიიღებენ ყველა საჭირო ინფორმაციასა და კონსულტაციას. უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე დოქტორანტებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოეთკა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.სტუდენტთა განკარგულებაშია რეგულარულად მოქმედი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა (არქეოლოგიური ძეგლები), ახლად მოპოვებული და მუდმივად შევსებადი არქეოლოგიური მასალა, პუბლიკაციების შესაძლებლობა საზღვარგარეთის ქვეყნებში (იტალია, გერმანია), კომპიუტერული ტექნიკა, არქეოლოგიის კაბინეტი ექსპოზიციით და ბიბლიოთეკა.

დოქტორანტების რაოდენობა:
არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 10 დოქტორანტის მიღება.

პროგრამაში ჩართული პროფესორები :
ვახტანგ ლიჩელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.
გურამ გრიგოლია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი
ზვიად კვიციანი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

მარინა ფუთურიძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.